

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, შ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. Въ редакцію „Дროზბა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., ს. მისთვის — 3 მ., ერთს თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროშა

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

შანი განსხვავებისა...
ერთ ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივის ცი-
ცერითი 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გა-
ასწიროს და შეაზღოოს დასაბეჭდათ
გამო გზავნილი სტატუეი. დაუბეჭდე-
ლი სტატუები ავტოროს არ დაუბრუნ-
დება.
ცალკე ნომერი ღირს შაურად.

განცხადება

შუთაისის ქალაქის გაგზავნა, შე-
უდგა რა მომავალის ქრისტიანობის თვე-
შილ ქალაქის სამართავლოს ამოძრ-
ჩვეულებათა სივების შედგენას, საყო-
ველთაოდ აღცხადებს, რომ მომავალს
დვინობისთვის პირველ რიცხ-
ვამდინ, იქნეს შემოტანილი მცხოვრე-
ბთაგან ქალაქის სასარგებლოთ ხვედრი
გარდასახადი, ყოველი გვარი გარდასახა-
დისა, ვიჯრე 1880 წლამდე, რადგან
1964 სტ. II ტ. ნაწ. I გამოც. 1876 წ.
ძალით, სხვათა შორის, გარდასახა-
დის გარდაუხებელ ელობა ცართ-
მევეს მცხოვრებთ ხმის უფლებ-
ებას.

გამგზავნის წევრი: ივ. შესხი.

(3—1)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროშაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადო-
ვის) ქუჩაზე შ. შადინოვის სახლებში,
№ 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღ-
რესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тиф-
лисъ. Въ редакцію газ. „Дрозба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი.
1 ივლისიდან წლის დამლევამდინ, გა-
ზაფინით—ხუთი მანეთი.

ტელეგრაფები

(სახლბა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურლი, 6 აგვისტოს. „პრაეიტ.
შესტნიკი“ გვაუწყებს, რომ ხელომწიფემ
ბრძანება გამოცა დაწესონ განსაკუთ-
რებული ნიშანი, რომელიც უნდა ატა-
რონ ბოლგარიაში სამოქალაქო მმარ-
თველობაში მოსამსახურე პირებმა.

ღონდუკოვ-ძორსაკოვსა და სტოლი-
პინს ხელმწიფემ მადლობა გამოუცხადა.

პეტერბურლი, 6 აგვისტოს. „პრაეი-
ტელსტვენნი შესტნიკის“ სიტყვით, გა-
ზეთს „რუსკაია პრავდას“ გამოცხადა

პირველი გაფრთხილება.
ბუშინ ბოლგარიის დეპუტაცია წაეი-
და მოსკოვში; ის გაივლის ქაევში,
მღესაში და ბოლგარიაში.

საქართველო

დღიური

* * ჩვენ გვწერენ შარაზნიდამ შემ-
დგას

„სხვა უფლებიდან გვესმის, ქურდო-
ბის, კაცის-კვლისა და სხვა-და-სხვა ბო-
როტების გაზიზრება, მაგრამ არც ჩვენი
მაზრა იმათთან უკან ჩამორჩენილი ამ-
გვარი საქმეებით.

აქაც ძლიერ ხშირათ ცარცვენ ხალხს,
სტეხენ ეკლესიებს და არც კაცს ზოგ-
ვენ აუ დასჭირდათ. ამ წინაზე გასტე-
ხეს შვირილის ეკლესია და წილეს ოც-
და-ხუთი მანეთის საღირალი ნივთები.
კი ვერ იშოვეს, რომ ეკლესიის გატე-
ხაზედ ეყურებინოს და ასე, ხომ იცით,
რომ არაფერი გამოვა!

„ამ დღეებში სამ კაცს ქურტლებში
აღებულო სიმიდი მოქონებია ურმებით
და შვირილის სიხლოვეს დაბინავებუ-
ლან. მითს დაფარდნილი ხარები ჰყო-
ლია და წყლის პირზედ წაუყვანია სა-
ძოვრად. მრი ახანავი რომ ამდგარა
ძებნა დაუწყიათ ამ კაცისთვის და რკი-
ნის გზაზედ უნახავთ თავ გატეხილი.
შეუტყობინებიათ, ვისიც რიგია! მოსუ-
ლან, უნახავსთ და ყველას ერთხმით
გარდაუწყვეტიათ, რომ მაშინისაგან აქვს
თავი დამტერეულიო. ჯერ კიდევ სუნ-
თქაედა ეს კაცი. მოიყვანეს დოქტორი;
ამან შეამოწმა, რომ თავი ხანჯლით აქვს
დაჩეხილიო. მოიყვანეს თურმანიძე (იქა-
ური გათქმული სოფლური ექიმი).

ამან მოსწმინდა ქრილობა და კაცს
სიცოცხლის ნიშნები აღმოუჩნდა. მესა-
მე დღეს ამოიღო ენა ამ კაცმა და
გამოსტევა, რომ ის ორმა რუსმა და
ორმა ქართველმა დასჭრეს.

სოტა ხნის შემდეგ ისევ ჩაუარდა
ენა ამ კაცს, და დღემდის კიდევ ცნო-
ბა დაკარგულია. ჯერეთ არაფერი ზო-
მა არ არის მიღებული ამ ავაზაკების
მოსაპოვებლად: როდესაც ეს კაცი მო-
სულიერდება და ლაპარაკს შეიძლებს
მაშინ უნდათ შეუდგენ საქმეს. თუ მოკ-
ედა ეს კაცი?.. მაშინ ჩაივლის ეს მოქ-
მედება!..

„როცა დაუჩინებიათ ეს კაცი წაურთმე-

ვით და რკინის გზაზე დაუგლიათ, იქნება
მაშინამ გადაუაროს და იმას დაბრა-
ლონო.

„ერთი სიტყვით საზოგადოება არ-
ყოფილასე შეშინებულნი, როგორც ახ-
ლა, რომ ამდენ უბედურებას ჰხედავს!..

„ზოგიერთები პატარა კომედიის გა-
კეთებას აპირებენ, და ღამ-ღამობით
იმაში აპირებენ შესვლას, რომ წყნარათ
და განსვენებით მოისვენონ;

* * იბეჭდება და მალე გამოვა ერთი
მოთხრობა, „საუბარი ღაბღა ღღოასი
ტერტურებზედ“, სომხურიდამ ქართუ-
ლათ ნათარგმნი შ. წინაძღვაროვის-
მიერ.

როგორც ამბობენ, ეს მოთხრობა
ძალიან კარგი ყოფილა.

* * ჩვენ გავიგეთ, რომ „ივერიის“
შემდეგი ნომრები, ივლისისა და აკვის-
ტოსი, გამოვა ამ თვის გასულს ისევე
ერთ წიგნათ.

* * უ. შ. დიდებულოძე სთარგმნის
რუსულიდამ საღმრთო ისტორიას (სო-
კოლოვის) და ამ მოკლე ხანში გამოც-
ვიმა სურათებით
ნეტავი იმდენი „შკოლები გვაქვს, რამ-
დენი ამგვარი და სხვა გვარი წიგნებისა
და სახელმძღვანელოების გამოცემას
მიჰყევს ხელი ჩვენმა მწიგნობრებმა!

* * მოზლოკილამ სწერენ „თბილისის
მოამბეს“, რომ იქ ზოგიერთი მოწინავე
კაცები ცდილობენ პროგიმნაზიის გახ-
სნასაო.

* * ამავე გაზეთის სიტყვით, ერთ
ურის ქალს სდომებია ქმრათ შერთვა
სომენი—ფიცრისა და ამის გამო 5 აგ-
ვისტოს მრავალი ხალხის თან დასწრე-
ბით მონათლულა, მიუღია არმიანო-გრი-
გორიანის საჩუქნოება.

* * გაზეთ „მეკავში“ იწერებიან,
რომ ბევრი და დიდი წვიმიანობისაგან
გზები მრავალ ალაგას გაფუჭებულაო;
სხვათა შორის 13 ივლისს ძაზბეკის
ფორტის სტანციასთან რკინის ხიდი ჩან-
გრულა და დღემდისინ არ გაუკეთები-
ათო; ამის გამო აქ ლა-სსა და ძაზბეკს
შუა, მეტად გასაჭირია სიარული, ურმე-
ბითა და ფურგუნითა!

„დროების“ კორესპონდენცია

სხინვალიდამ, 2 აგვისტოს. ძარგა ხანია, რაც სხინვალიდამ „დროებაში“ არა წერებულა რა; ამისათვის, თუ ნებას მომცემთ, გაცნობებთ რამოდენიმე აქაურს ამებებსა.

სხინვალიდამი ზორიდამ მშენიერი გზა ტყეცილი 27 ვერსი გზა მიუხსლოვლებით თუ არა სხინვალს, თქვენ დაინახავთ, რომ ის ყოველი მხრივ გარემოცულია ვენახებითა და ბაღებით, რომელიც საფე არიან სხვა და სხვა ხეხილებით. ამ ბაღებსა და ვენახებს შუა ჩაუდის მდ. ლიახვი, რომელიც თერგსაც ემსგავსება, არაგვსაც და რაონსაც, ლიახვს გაღმა დგანან მცხოვრებლები: რომელიც განიყოფებიან ორ ნაწილად! ზემოთ უბანს შეადგენს ქართველები და სომხები, ქვემოთ უბანს — ურიები. რაც ხეი ამ უკანასკნელებისა არის უმეტესი. სულ სხინვალიში 414 მცხოვრებს ანგარიშობენ.

ბუნებას უხვად დაუჯილდობია სხინვალი თუ წყლებით, თუ ჰაერით და სხვ. აქ ამ დროს ყოველთვის ისე გრილა, რომ საღამოზედ საშიში არის გაცივებისა, თუ რომ საზაფხულო ტანისამოსით გაივლით! მართი სიტყვით, როგორც ყოველი მხარე ჩვენი ქვეყნისა, სხინვალიც კეკლუცი სოფელია.

ფალტონი

გამაჰმადიანებულ საქართველოში.

(მგზავრის შენიშვნები არაგვისიდან არღანუჯამლი)

— სხენები მზათ არის, სენი წილიმე! წაეიდეთ თუ წამობანდებთ; გზაზე ძალიან დაგიცხებათ! მომესმა უკანიდგან ეს სიტყვები. მივიხედე უკან და დაინახე ორი, დაიარაღებული მოკაზმული ცხენებითურთ, ოსი.

ამ ოსების სიტყვების თქმა იყო და ჩემი ცხენზედ შეჯდომა წასასვლელათ.

ჯერ კიდე მშენიერი გრილი დილის ნიავი დაგვზუზუნებდა; გავვირბენდა ხოლმე ბავშურისი ცელქით ტანში და გვამსუბუქებდა ძილისაგან დამძიმებულებს. ძარგა ხანს ესარგებლობდით ამ ფიქრების გამქარვებელი სტიქიითა, რომ შემდეგ, თითქო ჩვენი ჯაბრითაო, მზე ამობრწყინდა და თვისი მსურველე სხივები ართვინის არე-მარეს მიმოხნდა. შეიცვალა ადგილობრივი ბუნება, და ამის შეცვლამ ჩვენც ცვლილების ბეჭედი დაგვასვა: ჩემი ოსებთან მუსაიფი სხვა და სხვა საგნებზედ შესწყდა; ჩამოვარდა სიჩუმე მთელ არე-მარეშია! ხანდისხან მხოლოდ გზაზე მიჰვალი თათრების დაღონებულის ხმით სიმღერა არღვევდა ხოლმე სიჩუმეს!

ჩვენმა ცხენებმაც ჩამოჰყარეს ყურები: საშინელი დაღალულობისა და მზის სხი-

აკაური შინაგანი საქმეებისა და მდგომარეობისა არა ვიცი რა, რადგანც სტუმრად მოსული ვარ, მაგრამ გარეგნათ კი ამას არაფერი ხეირი არ აყრია: დიდი უსუფთაობა არის, თუმცა აქ პრისტავიც არის და მამასახლისიც; ამას გარდა გზებში ხიდები ისე დაპეტერეული და დანგრეულია, რომ კაცს დიდი სიფრთხილე ჰმართებს მშვიდობით გაიაროს და ლიახვში არ გადავიარდეს.

ახლა ბაზარზედ ჩავიარათ: დუქნებში ისეთი უსუფთაობაა, რომ ასე გეგონებთ, აქ ადამიანის შესასვლელი არ უნდა იყვეს!

მოვალენი არაან ზოგიერთი აქაური პირნი, რომ ყოველივე ესე მოსპონ აქა, რაც უფარგისი და ადამიანის სიმრთელისათვისა მინებელია, მოაშორებინონ აქაურობას, მაგრამ ვინ არის ყურის მგდობელი? ვინ ითაყვება? მართი ექიმნი არა ჰყავთ, რომ ამ საქარობების დროს და ავთამყოფობისთვის მიმართონ!

რამდენჯერ ჰქონიათ ყრილობა აქაურებსა, რომ ერთი ექიმი მოიყვანონ, მაგრამ ურიებსა და ქრისტიანებს შუასულ უთანხმოება გამოდის: პირველები არ უდგებიან ექიმისთვის მისაცემ ფულში და მეორები ამბობენ ჩვენ მარტო არ შეგვიძლიაო!

მაგრამ რა ბრძანებაა, როგორ არ შეუძლიანთ; რა ნახათ აქაურები, ნამეტურ ქალები, ისეი მძიმეთ მორთულები გამოდიან, რომ მიხვრა-მოხვრას

ვებისაგან შეწუხების გამო ისინი ოფლოში შეკურდნენ, რისგამოც იძულებული შევიქენით, რომ ფეხით გველო. სხენების შემამყურე ოსებმა დაიწყეს თავიანთ ბედზედ ჩივილი:

— ღმერთს ეფიცები, ცვენს გაცენაში ღმერთი არ რეულა, სენი წილიმე! ცქენები ათ-ათ თუმნათ გიყიდნიათ, ესე კი უნდა დეგებოცნენ ამისთანა მთებზედ! ნეტა სენი სისოახლით ბევრი ფული მაინც გედლოვდეს, რომ ცვენი თავიც აცხოვროთ და ცხენებიცა?

— ზანა რამთვენს გაძლევენ ჯამაგირს? ვკითხე მე!

— რა ძამაგილი, სენი წილიმე, წინეთ სამი თუმანი გაძლევენ, ესლა კი 25 მანეთი გაძლევენ! ნეტა მარტო ცქენებს ეყოს ეს ფული ამ სატილო ქვეყანაშიო, თორემ სხვას რასა ვცივით!

ამ ლაპარაკში შეუმცნეველად კიდეც მივსულიყავით ოლოგომის ფოჩტაში, სადაც 15 კაცი (ოსი) იმყოფება!

ამათში სიტყვიტე, მხნობა, ცოცხალი მიხვრა-მოხვრა და სხვა კარგი თვისებები ჩანერგულა სხვა და სხვა ადგილობრივი პირობების გავლენით. მაგრამ ამის მაგივრად იმათ შეჰპარვიათ რალაც ცუდი თვისებებიც, რომელიც ყველა კაცს უნდა ეზიზღებოდეს! იმათ ლაპარაკში და მიხვრა-მოხვრაში შეჰნიშნაეთ რალაც სიმხდალეს.

მე ცხენები საჩქაროთ გამოვაცვლევი-ნე და გაუდექი სხვა ოსებით გზასა. შუადღეა თითქმის! მზე უფრო და უფრო

ვერ ახერხებენ! ნუ თუ ამისთანა საზოგადოებაში ოჯახი შეიკრება თითო-თუ-მნის, ხუთ-ხუთი, სამ-სამი და ორ-ორი მანეთის (შედლებისკვარად) გამოღება გაუქირდებთ წელიწადში, რომ ყოველ წლივ 1350 მანეთი შეადგინონ და ამითი ერთი კარგი ექიმი დაიჭირონ?

მისურვებ სულითა და გულით, რომ აქაური საზოგადოება, ქართველები და სომხები მაინც, არფრად ჩაგდებენ წელიწადში ამ მცირე ხარჯის შეწერას და იყოლიებენ დაქტურს, რომელიც ასე საქიროა ყველასათვის.

ა. თეთაყვი

თელავიდა, 28 ივლისი. წელს მე შენელაის ბედი მქონდა. თუმცა კვლავ შინადგან ხონთქარივით ფეხის გადადგმა მეზარებოდა, ახლა კი თითქმის მთელი ობილისის ღებერნია შემოვიარე. მანხის მშენიერი კუთხე, რომელიც საქართველოს თელია და ძახუას ეძახიან!

მე ჩემს მგზავრობაში ვლენების ფუფუნს, შაე გლენების ალიაქოთს ვერსად შევხვდი და ამაზედ ვერც არას გეტყვი. ან კი რათ გინდა ესა! ჩვენი ხალხს სული და გული დაწვლილებით იცი, რალათ გინდა იმაზედ ცოდნა!

დავიწყებ თელავიდა, როგორც ძახე-

გვესკრის სუსხიან სხივებსა. ოლოგომის არე-მარეს ბუნებით სიმშენიერე არტყია: აქა-იქა გაშლილი ტყე ასიამოვნებს კაცის გულს. არც წყაროები აკლია. საითაც გაიხედავ, პატარა ამაღლებულ მოტიტვლებულ ალაგზედ შეჰნიშნავ შეილ-ხულით მოხჩრიალე წყლის ნაკადულსა, რომელიც აგრეთვე იტაცებს კაცის გულს, მაგრამ ის კი ცუდია, რომ მიუდგომელ ალაგას არის!

თან და თან კარკი გზა გვხვდებოდა თელაწინ. ოსმალოების ჯარის სიმაგრეები ცხვირ-წინა გვაქეს. ამ სიმაგრეებდამ მშენიერათა სჩანს მდ. არღანუჯაის ხეობა, რომელიც მოფენილია სოფლებით! მარეგანი შეხედულობა ამ სოფლებისა შენობებით ძალიან წააგავს შორახის ხეობის სოფლებს! ხალხში კი ბევრი განსხვავებაა: შორახის ხეობის ხალხი ცოცხალი, მხნე, შრომის მოყვარე, კეთილი და ამასთანავე პირდაპირი ხალხია. ამას მიუფმატოთ კიდევ მშენიერი გარეგანი შეხედულობა, რომელიც სუყველა კაცს აკვირებს! მნაში ხომ ქართველებისაგან ვერ გაარჩევთ!

არღანუჯაის ხეობის ხალხი კი სულ სხვა ჰყოფილა: სამშობლო (ქართული) სული გამქარალა ამათში, თუმცა კი ქართველებისაგან ჩამამავლობა ძალიან სწათ: ომარ დედოფალი, როგორც თვითონვე ამბობენ, დიდ პატივში ჰყოლიათ! მაენი უფრო მძიმე, მხდალი, გაუბედავი და მასთან, უკან მოლაპარაკე არიან. მურჯები ძალიან უყვართ! ამას გვიმტკი-



თის თავი ადგილიდამ. აქ ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა გენიოსურ გონების მიერ გამოგონილმა საგანმა: ეს გახლავთ **თელავის ბალის კარები**. მიხვალთ კარებთან და ვერ გაიგებთ, როგორ შეხვიდეთ! **მკმა** ერთად რომ გახედოთ შესვლა და ძალა დატანოთ კარებს, ტყაპა მოგძვრებათ; რომ შორბოდეთ და ისე რბენით გახედოთ კარებში გამოსვლა, მაშინვე პირქვე დაეცემით! აბა ჩვენი **თბილისის ბალისთვის** არის საჭირო ამისთანა კარები: მაშინ აქაური ჯიბგირები ასე ადვილათ ვეღარ მოჰკურცხლამენ კარებში!

ასე, მე ვსიამოვნობდი ამ გამოგონებით, ვიჭიკნიდი კუქს თელავის მშვენიერი წყაროებით, ვულის ძაფებს მიმძრევდა **ირაკლი** მეფის ძველი სასახლიდამ სურათის მზერა!...

ამ ხანებში თელავზედ გაველო კახურ მილიციას; აქედამ თხუთმეტ ვერსზედ დამდგარიყო! თელაველებს შარშანობის შემდეგ ვეღარ ენახათ მათთვის სისხლის მღვრელნი, რადგანც სხვა გზით ამოველოთ და ეხლა უნდოდანათ პატივი ეცათ, სისხლის მაგიერ ღვინო დაებრუნებინათ. მაგრამ რადგანაც წინათ არ შეეტყობინებინათ, რომ ახლოს დაბანაკებულიყვნენ, ეხლა საწყალი მილიციონერები 15 ვერსიდგან სადილისთვის თელავს უნდა მისულიყვნენ, ე. ი. 30 ვერსი უნდა გაეკეთებინათ სადილისთვის! ბევრმა თურმე უარი სთქვა, მაგრამ

უფროსმა სასტიკად უბრძანა წასვლა: „სირცხვილია, ხარჯი გაუფუჭდებათო“. ბაიბართა სადილი. ღალატული მილიციონერები ისხდნენ ბაღში, აფიცრები და საზოგადოთ დიდ-კაცობა და ისინი, ვინც სამი მანეთი კი გადაიხადა, ისხდნენ „გოსტინიცაო“ რაღაც ბაღთან, იმის ბალკონზედ. სადილის დროს მილიციონერებში ერთი გასაოცარი ამბავი მოხდა: ბოლო კუნტულში მოისმა სიმღერის ხმა: „რათა მშობე, მშობელო, რ...ხელთ ჩამაგდეო“. ეს სიტყვები, რასაკვირველია, არას ჰნიშნავენ, მაგრამ დიდ-კაცების კრება წამოიშალა, ზოგი გაფითრდა, თითქო ქვეყანა ინგრევაო; ზოგმა თვალი უყო, ზოგმა ხელი და მომღერლები გაჩუქდნენ! მათავდა სადილიც და საღამოზედ თამაშობა გაიმართა! აქ უნდა გენახათ თქვენ ატლასის ახლოხეობები, ტურფა ყურთმაჯიანი კაბები, ზიზილ-პიპილა ქალების კაბები! მართმა ქალმინამა მილიციონერმა დაუკრა თავი და თამაშად გამოითხოვა ერთი თავადის ქალი, რომელიც საშინლად დაიღმეჭა: არ უნდოდა ეთამაშნა ქალმინათან, ატლასის ახლოხეობათან იყო დაჩვეული! საწყალი მილიციონერები! ამათთან თამაშიც კი ეთაკილებათ!

იმ ღამის რვა საათიდგან მეორე დღის ათ საათამდე მე თელავიდამ გამოველი და ის მოქვიფენი ისევ თელავში იყვნენ მიპატრებულინი. აი ქართველი, მკითხველო! მთელი ღამე სვი და „მიწურული“

თქვი, ან შექასტით შამყე მსმელონი! მე აქედამ გავმზავრდი „მოსალაქი“ მკარელში და ველიცხვადამ ჯამითში გადავედი. მნახე ჩვენი მამა-პაპისაგან გაშენებული, ერთხელ დიდებული და ახლა დანგრეული ნაქალაქარი.

მოსავალი ვერ იყო წელს ძახეთში კარგი. შანები თხელი იყო და ყურძენი დანაცრული. მზები მშვენიერებია; მახრის მმართველი კარგი კაცია, ყველა სოფლებში მოსხეს აპირება! შკოლები ბლომათ არის, დეპოებიც აქაიქა; ერთიც ახლა თელავში იხსნებოა.

მსეც შენი „კარგესბონდენცია“, მკითხველო, ანუ მასლაათი! მართველებში წერა მასლაათის შეტს ხო არაფერს ჰნიშნავს!!

მზავრი.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი.

— ბაზეთ **Times**-ში სწერენ სტამბოლიდამ შემდეგს:

„აქ მივიღეთ ოფიციალური ცნობა, რომ ინგლისის აფიცრებს, რომლებიც სამზღვრავდნენ მიჯნებს მაკედონიისა და ბოლგარიის სათავადოს შუა მოსამზღვრე კამისიისთვის, ოც-და-ათამდე

ცებს, სხვათა შორის, შემდეგი: გზაზედ-რო სიციხემ ძალიან შეგვაწუხა, ერთ დუქანში შესვლა დავაპირეთ და სასვენებლათ. თურმე, ნუ იტყვიოთ, ერთ ვილაც მუსულმანს დუქანი სახლათ გადაუყვებია და შიგ ხიზანი დაუყენებია! შარეთ არაფინა სწნდა და თავისუფლათ ვიწყე კიბეზედ ასვლა. ასვლა იყო კიბეზედ და ჩემი გოაცება: ერთი ვილაც ნაოჭიანი სოფლოური კიბით კიბეზედ მეტაკა და ერთი საშინლათ დაიყვირა: „ვაიმე, ურუსიო!“ და შევარდა სახლში. საიღღანაც ორთითით (ხაჩკალით) ვილაც კაცი გამოვარდა და ფერი მაცვლევინა: ცოტა გასწყდა, რომ ორთითით თავში არ მსდვა; მაგრამ ამდროს ქართულათ დაფუწყე თუ არა ლაპარაკი, დამშვიდებით წაძიყვანა ერთ გრილო ალაგსა; თვითონკი გამშორდა და მოიყვანა ერთი ყმაწვილი ბიჭი, რომელმანც ქართული მშვენიერათ იცოდა. ხალხმა რომ ჩემი გურჯობა გაიგო, სულ ჩემთან მოვიდა და მიცქეროდა! ცოტა ხანს უკან მასპინძლობაც გაგვიწვიფეს: მოიტანეს ხილი, თუთის არაყი, მჭადი (პური ძვირათ ჰყოფილა) და ყველი. მსები ჩემთან არ მოუშვეს, თურმე ძალიან სჯავრებიათ.

შმაწვილ ბიჭს გამოვკითხე, თუ იგი სადაურია, რომ ქართულათ ასე კარგათ ლაპარაკობს. აღძომნდა, რომ იგი მოყვარე ჰყოფილა ერთი იქვე მცხოვრები კაცისა. ამ ბიჭის პირით ბევრი რამ მელაპარაკენ კაცები და სხვათა შორის, აი რა მითხრეს:

„ბურჯები ძალიან კაი ხართო...“

„მოჩქარეს მოუგვიანდესო,“ სწორეთ მეც ასრე მომივიდა: მეჩქარებოდა და ესე კი გამაბეს ლაპარაკში!

თითქმის საღამოს ხუთი საათაა. არდანიუხამდის ცოტა დავგრჩა, რომელიც უფრო სიამოვნებით გვიარე ერთი მაჰახელელი კაცის თანამზავრობით. ეს მაჰახელელიც ბევრს რასმე მელაპარაკა: — ჩვენ ურუსებს ვერ გოუძლებთ, სულ ერთიანათ ოსმალეთში უნდა გადავლაგდეთო“ ამბობდა ისა.

— წაბძანდით და ენახამ, რასაც იქ მიიღებთ! აბა იქ რა გინდათ, ძიავ! შენ არ იცი, რომ თვითონ ოსმალები დიდ გაჭირვებაში არიან ალაგების უქნალობის გამო? ვკითხე მე.

— სულთანს არ მოგვატყუებს, იმან შემოგვითვალა, სულ აქეთკენ გადმოლაგდითო, სუყველაფერში შეგეწვეითო! ურუსებთან ჩხუბი უნდა აეტხზოო, თქვენ მიშველეთო! აქაი რომ დავრჩეთ, ურუსები სილას იხმარებენ ჩვენზედ, თუ წინააღმდეგობა გოუწყით! ბურჯები კი არ ვიცი ვის მიექამაგებინა!.. მაინც გურჯები ურუსებსა სჯობიან! მაგრამ ერთი კი ცუდი გჭირთ, — ღორის ხორცის ჭამა ვის გოუგონია! მართხლოა, ბიძაჩემში ილაპარაკა, მეთაისში ვიყავიო, პურაი ძალიან მომშვიდლო და იქვე ფუნეში ვიყიდეო; გულიანათ ვჭმდიო, მაგრამ მალე გულიც ემერიაო, როცა მეფურნემ უფრინის კარები გამალო და ერთი გოჭი იწვებოდაო, მე მაშინვე გაკლანძ-

ლე იგი და თავი დავანებეო!“

— აბა რაქნათ, ჩემო, ძიავ, მთელი ქრისტიანი სჯამს და ჩვენ რაღა ვართ! მიუფე მე.

— თქვენ სხვაი ხართ და იგინი სხვაი! რაცა თქვენ მამა-პაპის არ უქნია, თქვენ რაღათ შვრებით? სთქვა ესა და გაჩქარა ფეხები საღაც ერთ-ახლო სოფლისკენ, საიდგანაც ხმა მოდიოდა: ურუს იმა, ურუს იმა!

ბინდმა მოგვასწრო გარეთ. დასავლეთისაკენ ტყესაც და ღრესაც მშვენიერი სახე დაედვა მზის სხივებისაგან. ბუნება უფრო მოცოხლდა. საითკენაც მიიხედავ, სუყველა სულდგმული მოძრაობაში არის! მართი უცქირეთ აიხ ჩადრში განვეულ დედაკაცებს, როგორ ზღაზნით მიაშურებენ ფეხებს! ბავშვების ქვილხივლიმა გააჭირა საქმე! აგერ მოლაც ავიდა მინარეთზედ და თავისი ხრინწიანი ხმით სალოცავათ იპატრებებს ხალხს! არა ჰგავს ართინის მოლას, რომელიც ბაიათების მსგავსად, მოსაწონათ ლოცულობს ხოლმე!

არდანიუსაც მალე წავადექით! იმისი გარეკანი შეხედულობა არ მიტაცებს, უფრო სიზიზღეს ჰბადავს ჩემში. აქედამ ჯერ ოღრო—ჩოღროს მეტი არაფერი სჩანს. მაგრამ ნახვო ახლოს როგორი-ლა იქნება!

ა. ნ — ძე



ბოლოვარელებმა ესროლეს იმათ თოფები, მაგრამ არავინ არ დაჭრილა. ამის გამო მუშობა დროებით შეწყვეტილი იყო. მაგრამ სალონიკში ჯარების კამანდირმა გზავნა ბრძანება, რომ აფიცრებს მიუყენონ მცველები, რომ შემდეგისთვის მოისპონ ამ გვარი შემთხვევები!

— „რეიტერის სააგენტოში“ სწერენ სტამბოლიდან, რომ „იქ შეკრებილი იყო მინისტრების რჩევა განსახილველად იმ პასუხისა, რომელიც უნდა მიეცათ მეროპის სახელმწიფოებს ნოტაჟედ შესახებ თათრების კომისრების დანიშნაზედ მსამაღმადგენლის სამხდურების გასწორებისთვის. საფრანგეთის ვლჩის გარდა ჯერ არც ერთ უცხო ქვეყნებში წარმომადგენლებს არ მიუღიათ დარიგება იმ მოქმედებისა, რომელზედაც უნდა დადგინდეს სეფეთ-ფაშა, უცხო საქმეთა მინისტრმა, ურჩია სულთანს, რომ იმან დანაშაულს კამისრებად ალი-საიბ-ფაშა და მუნიფა-ეფენდი საბერძნეთის სამხდურების გასწორებად პორტამ გაუგზავნა ბრძანება სომხეთის დუბერნატორს დაუბრუნონ ხასუნისტებს საეკლესიო ადგილები, რომლებიც ეხლა ანტი-ხასუნისტების ხელშია“.

იტალია

რომის გაზეთებში დაბეჭდილია პაპის უნიკალიკა კათოლიკების ეპისკოპოსებთან შესახებ ფილოსოფიის სწავლებისა კათოლიკურ სემინარიებში. პაპა აუწყებს ამ ეპისკოპოსებს, რომ იმათ ასწავლონ ფილოსოფია მომა აკუინის სისტემით. ამ სისტემას ექნება დიდი გავლენა „საზოგადოებაზე, ხელოვნობაზე და ფიზიკაზე“ ამბობს წმიდა მამა.

სპარსეთი

სპარსეთის შ.ჰის ნარს-მდღინის მე...

რობაში მოგზაურობამ მოიტანა საწადელი შედეგი სპარსეთისთვის. ამ ორ-სამ წელიწადში ბევრს ადგილას გაკეთდა მოსეს გზა, ფოჩტა. შარის გასაწოთენელათ მოწოდებულია უცხო ქვეყნების აფიცრები. მარტო აესტრიადამ არის 22 აფიცრი და რუსეთიდან 4 შ.ჰის კონფიის მოსამზადებლათ. ტეგერანში დაარსდა გუმიშხანი (ფულის ძოსატრელი სახლი) მანამდის კი ყოველს ქლაქში სჭირდნენ როგორსაც უნდოდათ ფულებს და ანგარიში არ ვის ქონდა იმათი. მეროპის ხელმწიფეებსავეთ შ.ჰმა მინისტრებიც გაიჩინა. მისი პირველი მინისტერი არის ადრე მფილისში კონსულათ ნამყოფი მირზა-ჰუსეინი. ამისი მეოხებით შ.ჰმა ერთი მილლიონი ფრანკი გადადო საავთმყოფოების, მეჩეთის და საზოგადო აბანოს გასაშენებლათ.

ნარეკი

— ამ რამდენიმე წლის წინეთ მეცნიერების აკადემიის ზოოლოგიურ მუზეუმში წარუდგენიათ ერთი დიდი, ვეებერთელა კვერცხი, რომელიც ხერსონის უეზში (რუსეთში), დამშრალი წყლის ძირში ადგილობრივ გლეხებს უპოვნიათ და ამათ სხეებისთვის გადაუციათ. ის არის მოყვითალო ფერისა და სიდიდით ქათმის ორმოც კვერცხს უდრის (სირაქლემის კვერცხი კი მხოლოდ ქათმის ოც-და-ოთხი კვერცხის ოდენაა) ამ კვერცხში პატრონი თხოულობდა ათას მანეთს, მაგრამ მუზეუმში უარი უთხრა საშვალების უქონლობის გამო. მხოლოდ სთხოვეს ნება მიეცათ იმ კვერცხის აწერისა და გადახატვისა. ბაზეთების სიტყვით, ეს კვერცხი ახლა ინგლისელებს უყიდნიათ!

განცხადებანი

„ივერის“ რედაქცია აცხადებს, რომ ვისაც სურს ნახევარი წლის ეურნალი მიიღოს იელისიდან, შეუძლია დაიბაროს შემდეგის პირობით:

თფილისში მცხოვრებლებს 5 მ. 50 კ. ბარეზე მცხოვრებლებს — 6 მ. 50 კ. ვისაც 1 ნომრიდან უნდა მიიღოს მთელი წლის ნომრები, ამ პირობით დაიბაროს:

თფილისში მცხოვრებლებს 11 მ. ბარეზე მცხოვრებლებს — 12 მ.

ადრესი: თფილისი, სოლოლაკი, კონსულის ქუჩა № 4 და ჩარკვიანის წიგნის მაღაზია.

(3-1)

„ბათუმი“

ახალი სასტუმრო ბათუმში.

ახლად განხილის ქ. მუთაისში ბათუმის სასტუმროს მასპინძელი ვაცხადებ პატივცემულის საზოგადოების საცნობლად, რომ მე გავათავე ყველა ახალი მოშენებული ოთახები ჩემის სასტუმროსა და ფასებიც შევამცირე, ასე რომ ვვ-ს ოთახში, რომელიც ჩემს სასტუმროში არის, ზოგი 50 კაპეკად ღირს, ზოგი 70 კაპ., ზოგი 1 მ., 1 მ. 50 კაპ., 2 მან. და 3 მან. ამასთანავე სასმელსაჭკლის ფასიც დავამცირე. აქტიორებს და სხვა მოთამაშებთაგანს შეათედ ფასს ვუკლებ ყველაფერზედ.

ზ. ბარძიმიშვილი.

(3-3)

რკ. გზა.	ლილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამაქურნალო.
თფილისი ..	9 21	5 1	8 კაპ.	8 კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან		თფილისი 9 აგვისტ.		მრეფნ. მ.ი., წინამძღვაროვ. სახლი.
მცხეთა ..	10 11	6 27	85	44	ქაქაბისი აქთა მზის ყველა		შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2 40	დედ დილის 8 საათიდან 10-დინ.
ზორი ..	11 58	9 43	3	1 53	ქლაქებში ..	50	შქვ. წითელი ..	170	მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს.: წისციფი და
ხაშური ..	1 29	11 57	4 73	2 42	როსტოვს, მ.დესას, მოსკოვს,	2	შერო ფუთი ..	140	ბარ. ლევიჩი— შინაგ. ავთომყოფობის.
სურამი ..	1 44	4 90	2 61		პეტერბურღს, მარშაგ. ..	2	ბაბა მრეფნისა, ფუთი.	8 20	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს.: შერმიშვიდი და
შე რილა ..	5 49	7 21	3 69		მსამაღმადგენლის, შევიტარაში ..	3	— ამერკისა, ფუთს ..	9 50	ბ. ბოგი— გულისა და შინაგ. ავთომყოფ.
რონი ..	6 57	8 44	4 31		იტალიაში და საფრანგეთში ..	3 50	ბაქალი ბაბა ფუთი.	10 70	მყოფ.; რეიხი— თვალის, შურაგ.
სამტრედია ..	7 51	9 66	4 93		ინგლისში ..	3 75	მატყელი თუშური ფუთი.	8 40	ლევი— კანისა და ვენერიულის,
ახალ-სენაკი	8 43	10 1	5 47		ფოჩტა		— მ. რაქამისა ფუთი ..	3 80	ბახუტოვი— ქალისა და ბავშვების.
შოთი ..	9 50	12 24	6 26		ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს— ოველ		აბრეშუმო ნუზური სტ.	2 10	მ. თ. ს. შ. ა. ბ. ა. თ. ს.: წისციფი— შინაგ.
შოთი ..	9 3				დედ კვრის გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ.— პარასკ. და ორშ. ბ.		ქონი ფუთი ..	5 60	ნაგ, ბაბაგი— წერებების.
ახალ-სენაკი.	10 14		1 53	78	ხეთს— სამშ. და შაბ. ბ) მუთაი-		ქონის სათელი ფუთი.	6 80	ხუთ შ. ა. ბ. ა. თ. ს.: შერმიშვიდი— შინაგ.
სამტრედია ..	11 5		2 11	1 33	სილამ: წ. ფილისისა და შოთისაკენ—		სტეარინის სათელი ფ.	12	ნაგ. ავთომყოფ. და შურაგლევი— კანის
რონი ..	12 13		3 4	1 97	ყოველ დედ კვრას გარდა. მსურ-		სორცი ძროხისა .ლიტრა		და ვენერიულის.
შე რილა ..	1 18	ლაშე.	5 3	2 56	გეთს— ორშ. და პარასკ.		— ცხვისა, ლიტრა ..		პარასკევე სიქნებთან: წისციფი,
სურამი ..	5 12	11 07	7 34	3 74	წიგნის გაგზენა რუსეთში	კაპ.	სპირტი ვედრო ..	4 50	ციფი, ბაბოვი, ბაბაგი და ბახუტოვი.
ხაშური ..	5 39	13 7	7 51	3 84	და სამზღვარ გარეთ:		შაქარი ბროც. ფუთ ..	7 5	შ. ა. ბ. ა. თ. ს.: შერმიშვიდი, რეიხი და
ზორი ..	7 5	4 8	9 24	4 73	ლა წიგნს ..		— ფხენილი ფუთი ..	5 60	შურაგლევი.
მცხეთა ..	8 50	6 59	11 39	5 82	ლა მზღვარ გარეთ:		შავა რგალი გრვ. ..	60	მ. რ. ბ. გ. ბ. — კბილის ექიმი და
თფილისი ..	9 31	7 6	12 24	6 26	ლა მზღვარ (სამი მისხლი) ..		შეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13 60	ბაბაგი მიღებენ შინ, ლარბებს
							7 მამ ქო საშუალო ფთ.	6 70	მუქთად.